საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/112

15 მარტი, 2019 წელი ქ. ბათუმი

ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ,,სატყეო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ამავე ფაკულტეტის „აგრარული ტექნოლოგიების" აკრედიტირებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რიგგარეშე შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი"-ს, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს მე-5 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 21 ივლისის N01-08/37 ბრძანების, „აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 5 თებერვლის დადგენილების, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის 2019 წლის 28 თებერვლის №250541 სამსახურებრივი ბარათის და ,,2019 წლის თებერვალში აკრედიტირებულ „აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 1 მარტის N06-01/25 დადგენილების, ,,2018-2019-სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს ,,აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის რიგგარეშე შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 5 მარტის N 01-02/32 ბრძანების, ,,კრედიტების აღიარებისა და პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N55 დადგენილების, კრედიტების აღიარების შესახებ საფაკულტეტო კომისიის დასკვნების და სტუდენტთა განცხადებების/თანხმობების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის „აგრარული ტექნოლოგიების“ აკრედიტირებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობის წესით (რიგგარეშე მობილობით) ჩაირიცხონ ბსუ-ს ამავე ფაკულტეტის „სატყეო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები დანართი 1-ის შესაბამისად.
2. წინამდებარე ბრძანების გამოცემის საფუძვლად მიჩნეული კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიის დასკვნები ტექნოლოგიური ფაკულტეტის მიერ წარდგენილი იქნეს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტუდენტთა ელექტრონული სერვისების მართვის განყოფილებაში სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემაში მათი ასახვის მიზნით.
3. ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის „სატყეო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს, რომლებსაც ფინანსური დავალიანების გამო შეჩერებული ჰქონდათ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი და „2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს „აგრარული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის რიგგარეშე შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 5 მარტის N01-02/32 ბრძანებით დადგენილ ვადებში წარმოდგენილი განცხადებით მოითხოვეს სწავლის საფასურის დავალიანების გადახდის გადავადება, მიეცეთ შესაძლებლობა მათზე რიცხული ფინანსური დავალიანება დაფარონ 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურთან ერთად (თანაბრად გადანაწილდეს ამავე სემესტრში განსაზღვრული სწავლის საფასურის ეტაპობრივ გადასახდელად).
4. წინამდებარე ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და წარდგენილი იქნეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
5. წინამდებარე ბრძანება აისახოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.
6. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე, სტუდენტური პორტალის მეშვეობით დაეგზავნოს სტუდენტებს (დანართი 1-ის შესაბამისად) და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.
7. ბრძანება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და იურიდიულ დეპარტამენტს.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ს. ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს ,,სატყეო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, რომლების 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შიდა რიგგარეშე მობილობით გადავიდნენ,,აგრარული ტექნოლოგიების' საბაკალავრო პროგრამაზე

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 15 მარტის N 01-08/112
გრძანების დანართი 1

N	სტუდენტის სახელი გვარი		სტუდენტის პირადი ნომერი	სწავლების საფეხური	აღიარებული კრედიტი	პირველადი საგანმანათლებლო პროგრამა	მობილობის შედეგი		სწავლების სემესტრი	სტუდენტის სტატუსი-აქტიური/შეჩერებული (შეჩერების გრძანება)
							ძირ. საგანმანათლებლო ერთეული (ფაკულტეტი)	საგანმანათლებლო პროგრამა		
1	გესიკი	ბოლქვაძე		ბაკალავრიატი	144	სატყეო საქმე	ტექნოლოგიური	აგრარული ტექნოლოგიები	VI	აქტიური
2	ივერი	ბოლქვაძე		ბაკალავრიატი	68	სატყეო საქმე	ტექნოლოგიური	აგრარული ტექნოლოგიები	IV	აქტიური
3	გიორგი	გაბიტაძე		ბაკალავრიატი	102	სატყეო საქმე	ტექნოლოგიური	აგრარული ტექნოლოგიები	IV	აქტიური
4	ლაშა	თავართქილაძე		ბაკალავრიატი	144	სატყეო საქმე	ტექნოლოგიური	აგრარული ტექნოლოგიები	VI	აქტიური
5	რაული	კახაძე		ბაკალავრიატი	144	სატყეო საქმე	ტექნოლოგიური	აგრარული ტექნოლოგიები	VI	აქტიური
6	შალვა	წითლიძე		ბაკალავრიატი	144	სატყეო საქმე	ტექნოლოგიური	აგრარული ტექნოლოგიები	VI	აქტიური